

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 2 აპრილის =50 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 2 აპრილის =50 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოვიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სენატის კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცებულ იქნეს სენატის მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობა წარმოდგენილი ცვლილებებით (დანართი №1).

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 2 აპრილის -50 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 2 აპრილის -50 სხდომაზე პროფ. მამუკა ბაბუციძემ წარმოადგინა საკითხი მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ცენტრის სახელწოდებაში ცვლილებისა და „შემდუღებელთა ტრეინინგის ჩატარების ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 18 მარტის დადგენილება №1116.

სენატმა დაადგინა:

1. თანახმად პროფ. მამუკა ბაბუციძის თხოვნისა, მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ცენტრის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან არსებული გრიგოლ ლულუნიშვილის სახელობის საშემდუღებლო მასალების წარმოებისა და შედუღების ტექნოლოგიური ექსპერტიზის საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“;
2. დამტკიცდეს „შემდუღებელთა ტრეინინგის ჩატარების ინსტრუქცია“;
3. მიეცეს უფლება აღნიშნულ ცენტრს შემდუღებელი პერსონალის ტრეინინგების ჩატარების შემდეგ გასცეს სტუ-ს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 2 აპრილის =50 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 2 აპრილის =50 სხდომაზე პროფესორებმა ნაზი კუციავამ, დავით ჯაფარიძემ, იგორ კვესელავამ, დავით ნოზაძემ და ზურაბ ლომსაძემ წარმოადგინეს საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებების განხილვის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცებულ იქნეს სტუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის, რექტორის აპარატის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრის, მეცნიერების დეპარტამენტის, კომერციალიზაციის დეპარტამენტის, სამხედრო სამობილიზაციო განყოფილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის, საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის, აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის, არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტის, დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების, სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის, კანცელარიის, არქივის, საგამომცემლო სახლის „ტექნიკური უნივერსიტეტი“, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულებები.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 2 აპრილის =50 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 2 აპრილის =50 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი პროფ. ზურაბ ვაშაკიძის მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით.

სენატმა დაადგინა:

1. სენატის წევრის პროფ. ზურაბ ვაშაკიძის მოხსენებით ბარათში გამოთქმული წინადადებების განხილვასთან დაკავშირებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი;
2. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა და ხელმძღვანელობა დაევალოს პროფ. დავით ჯაფარიძეს;
3. აღნიშნულ ჯგუფში მონაწილეობა ეთხოვოს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და სტუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს;
4. სამუშაო ჯგუფმა ერთი თვის განმავლობაში წარუდგინოს სენატს დასკვნა განსახილველად.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 2 აპრილის =50 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 2 აპრილის =50 სხდომაზე სტუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა, ბატონმა მალხაზ ლომთაძემ წარმოადგინა ინფორმაცია სტუ-ს დიპლომების განყოფილების საქმიანობის შესწავლისა და მიმდინარე ინვენტარიზაციის მონიტორინგის შესახებ.

სენატმა დაადგინა: ცნობად იქნეს მიღებული ბატონ მალხაზ ლომთაძის ინფორმაცია, მხარდაჭერილ იქნეს წარმოდგენილი წინადადებები და გადაეგზავნოს შესასრულებლად სტუ-ს ადმინისტრაციას (დანართი №1).

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

1. დაევალოს დიპლომების განყოფილებას, იურიდიულ დეპარტამენტს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადების მიზნით, წარუდგინოს კურსდამთავრებულთათვის დიპლომების/დუბლიკატების ნომრის მინიჭების საკონტროლო ჟურნალის თავსართის ფორმა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.
2. დაევალოს დიპლომების განყოფილებას, იურიდიულ დეპარტამენტს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადების მიზნით, წარუდგინოს დაბრუნებული დიპლომების სარეგისტრაციო ჟურნალის თავსართის ფორმა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.
3. სწავლების დეპარტამენტმა და საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტიზაციის სამსახურმა უზრუნველყონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანებით დამტკიცებული როგორც №1 დანართის მე-4 მუხლით, ასევე №2 დანართის მე-4 მუხლით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება – ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნონ და დაწესებულების რეესტრში ატვირთონ დიპლომის (ყველა ტიპის) დამტკიცებული ფორმა და საჭირო ინფორმაცია.
4. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება იმ გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/დუბლიკატების განადგურების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან შეთანხმებულ ფორმას.
5. დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ქ-ნ ქეთევან ქოქრაშვილს სათანადო ღონისძიებების განხორციელება რათა, სტუ-ს უფლებამოსილმა პირმა, მიმწოდებლისგან მკაცრი აღრიცხვის ფორმების-დიპლომების მიღება განხორციელოს საექსპერტო დასკვნის საფუძველზე (მკაცრი აღრიცხვის ფორმების-დიპლომების დამზადებასთან დაკავშირებით მიმწოდებელთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესაბამის მუხლში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ სტუ-ს უფლებამოსილი პირის მიერ ხსენებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღება განხორციელდება საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება საექსპერტო მომსახურებაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირთან, სხვა სავალდებულო ღონისძიებები).
6. დაევალოს დიპლომების განყოფილებას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგინოს იმ ინვენტარის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია დიპლომების განყოფილების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის, ასევე წარუდგინოს წინადადებები დამატებითი ფართის შესაძლო ადგილმდებარეობის თაობაზე. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, კომპეტენციის ფარგლებში გაატაროს სათანადო ღონისძიებები – დიპლომების განყოფილებისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვისათვის, დამატებითი ფართის გამოყოფისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის.
7. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება – დიპლომების განყოფილების უფროსის ქ-ნ ლია მსხილაძის მკაცრი აღრიცხვის ფორმების დიპლომების/დუბლიკატების შენახვასა და დამტკიცებული წესის შესაბამისად გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნის თაობაზე, რათა განხორციელდეს ქ-ნ ლია მსხილაძისათვის სექტორის უფროსისაგან – ქ-ნ როზეტა მგალობლიშვილისაგან დიპლომების/დუბლიკატების გადაბარება (სტუ-ს რექტორის 2011 წლის 26 სექტემბრის №101 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად ქ-ნ როზეტა მგალობლიშვილი დანიშნულია დიპლომის ფორმების დამტკიცებული წესის შესაბამისად გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირად).
8. დაევალოს დიპლომების განყოფილებას შეიმუშაოს და სენატს დასამტკიცებლად წარუდგინოს საკუთარი დებულება.